
შპს „ქართული მარანი“
400226830

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
შესადარისი პერიოდია 2021 წლის 31 დეკემბერი



შპს „ქართული მარანი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შესადარისი პერიოდია 2021 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
ზოგადი ინფორმაცია	6
კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის	12
ძირითადი საშუალებები	12
მარაგები	13
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
ფული და ფულის ექვივალენტები	14
მიღებული სესხები	14
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
შემოსავალი	15
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
ბალანსის შემდგომი მოვლენები	15

შპს „ქართული მარნის“ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

			31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			4 335	1 431
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			1 017 993	290 037
სხვა ანოუხსენ ავასთუიად და				
სესხებად გაცემული ფულადი			571 648	1 066 016
მარაგები			513766	1 068 360
- მზა პროდუქცია			18 320	18 320
- სხვა			49 544	1050040
სხვა მოკლევადიანი აქტივები			-	
ბიოლოგიური აქტივები				
(თვითღირებულების მოდელით)			1 117 723	1 030 414
გუდილი			621 301	649 771
სხვა არამატერიალური აქტივები			24 916	29 719
ძირითადი საშუალებები			1 659 265	1 320 302
სულ აქტივები			5 533 102	5 456 050
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები			820 697	501710
ანარიცხები			-	2 196
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			3 625	-
საგადასახადო ვალდებულებები			69 952	42 598
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			1 486 190	598 455
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			3 241 388	4 483 169
სხვა ვალდებულებები			533 732	384 200
სულ ვალდებულებები			6 155 584	6 012 328
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი			- 622 482	- 556 278
სულ საკუთარი კაპიტალი			- 622 482	- 556 278
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			5 533 102	5 456 050

შპს „ქართული ფვინის მარნის“ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საქმიანობის შედეგების კონსოლიდირებული ანგარიშგება.

		31.12.2022	31.12.2021
ნეტო ამონაგები		2 247 171	1 103 734
საქონლის გაყიდვიდან		2 247 171	1 070 811
მომსახურების გაწვიდან			32 923
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		- 1 450 307	- 837 833
საერთო მოგება		796 864	265 901
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება		- 416 926	- 149 364
ცვება / ამორტიზაციის ხარჯი		- 86 062	- 78 998
საპროცენტო შემოსავალი		6 135	39 665
საპროცენტო ხარჯი		- 469 230	- 418 570
იჯარის ხარჯი		- 210 640	- 6 000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		- 240 890	- 165 454
სულ საოპერაციო ხარჯები		- 1 417 613	- 778 721
საოპერაციო მოგება		- 620 749	- 51 282
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			343 405
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		587 647	351 312
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპე		- 33 102	181 897
მოგების გადასახადი			- 584
საანგარიშგებო პერიონის მოგება/(ზარალი)		- 33 102	181 313
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		- 33 102	- 737 591
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
საერთო კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		- 622 482	- 556 278

შპს „ქართული ფინანს მარნის“ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.

	31.12.2022	31.12.2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	- 9 429	2 052 359
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	- 32 008	-245385
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	143 961	- 1 799 429
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	17 663	7 545
სავალუტო კურსის ეფექტი	- 14 759	- 6 114
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1 431	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4 335	1 431

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქართული მარანი“ (400226830) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა მევენახეობა, საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმელით, ღვინის წარმოება და ექსპორტი. კომპანია დაფუძნდა 2018 წელს. დამფუძნებელი, 80%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი, 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არის ზურაბ წიკლაური (3/6 01001029582). კომპანიის მეორე დამფუძნებელი, 20%-იანი წილის მფლობელი არის მურთაზ ხერგიანი (3/6 01020001101)

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი, IIIა მ/რ, კორ. 17, ბ. 52

ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ელისაბედ ჩერქეზიშვილის ქ.17

შპს „ქართულმა მარანმა“ 2020 წლის 8 ოქტომბერს შეიძინა შპს „ჯორჯიან სფეშალ ექსპორტის“ (ს/ნ 400157389) 50% წილი, ხოლო 2021 წლის 22 იანვარს შეიძინა დარჩენილი 50% და გახდა მისი 100% წილის მფლობელი.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება. კომპანია დაფუძნებისთანავე ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტირების დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტირების დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022, 2021, წლის 31 დეკემბერსა და 2021 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2021 წლის 1 იანვრისათვის	3.2766	4.0233

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	4-9 წელი
ავტო და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-14 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-9 წლით.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანაზარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალს ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოცლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაკავშირებულ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და აღმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან აღგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველაწარმო დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებად ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისათვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლის განაკვეთის კორექტირება.

4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის

კომპანიას არ განუხორციელებია კორექტირება 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022, 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:								
	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა-დანადგარები და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	1 191 573	3 390	47 625	17 189	67 584	20 170	24 587	1 372 118
შემოსვლა	252 500	64 643	6 931	34 632	183 089	1 966	21 414	565 175
გასვლა	113 000		6 931	17 189	54 846			191 965
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	1 331 073	68 033	54 556	34 632	212 114	22 136	46 001	1 745 327
დაგროვილი ცვეთა								
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	-	6 930	-	23 371	9 366	12 148	51 815
ცვეთა	-	-	2 381	694	29 952	2 663	5 781	41 472
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	7 225			7 225
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	-	9 312	694	46 099	12 029	17 929	86 062
წმინდა საბალანსო ღირებულება								
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	1 191 573	3 390	40 695	17 189	44 213	10 804	12 439	1 320 302
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	1 331 073	68 033	45 244	33 939	166 016	10 107	28 071	1 659 265

6. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული და მასალები	495 446	980 515
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	18 320	18 320
სხვა მარაგები	2 155	69 526

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1 017 993	290 037
გაცემული სესხები	2 622	222 265
გადახდილი ავანსები	569 026	744 536
სულ	1 589 581	1 256 838

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული		4 127	1 429
ფული საბანკო ანგარიშებზე		208	2
სულ		4 335	1 431

9. მიღებული სესხები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		1 486 190	567 000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		3 241 388	4 483 169
სულ		4 727 578	5 050 169

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები		820 697	50 171
ვალდებულებები		3 625	-
მიღებული ავანსები		295 000	3 016
საგადასახადო ვალდებულებები		69 952	42 598
გადასახდელი პროცენტი		21 818	76 345
სულ		1 189 274	922 253

11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავლები 2022 წლისთვის შედგება ადგილობრივი გაყიდვებისა და ექსპორტისგან.

	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი ადგილობრივი გაყიდვებიდან	147 684	1 037 888
შემოსავალი ექსპორტიდან	1 917 265	366 473
შემოსავალი მომსახურებიდან	326 617	32 923
სულ	2 247 171	1 437 284

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2022	31.12.2021
ზედნადები ხარჯი	130 471	114 146
ტრანსპორტირების ხარჯი	25 657	9 437
ავტომანქანის ხარჯი	2 908	203
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	31 801	4 756
საბანკო ხარჯი	3 201	6 894
სხვა საერთო ხარჯები	45 848	28 656
სულ	240 890	165 454

13. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გაშეფასდება აუცილებელია.